





გამოცემის თარიღი: Date of Issue: 12.12.18	ძალაში შესვლის თარიღი: Valid since: 13.12.18	მოქმედების ვადა: უვადო Valid till: Unlimited	
შეცვლილი დოკუმენტი: Replaced Document:			
დოკუმენტის ტიპი: Type of Document: ინსტრუქცია Instruction	რეგისტრაციისა და დოკუმენტის ნომერი: Registration and file No.: INS2018006	პირველი რევიზიის ვადა: 04.05.2019	
სათაური: სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს 10-6-0,4 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემ ხაზობრივ ნაგებობებზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების მონტაჟის, რემონტის და ექსპლუატაციისას შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია Title: Instruction of installing of optical-fiber cables on 10-6-0,4 kV air electricity transmission line constructions and repairing and exploitation labor safety.			
შემდგენელი: Elaborated by: ვასილ კობიაშვილი Vasil Kobiashvili	ანალიზის, რისკების შეფასების, ნორმატიული დოკუმენტაციის წარმოების განყოფილების უფროსი Head of Analysis, Risk Assessment, Normative Documentations processing Division	თარიღი: Date: 7.12.18	ხელმოწერა: Signature: 
თავდები: Guaranter: ვასილ კობიაშვილი Vasil Kobiashvili	ანალიზის, რისკების შეფასების, ნორმატიული დოკუმენტაციის წარმოების განყოფილების უფროსი Head of Analysis, Risk Assessment, Normative Documentations processing Division	თარიღი: Date: 7.12.18	ხელმოწერა: Signature: 
ზედამხედველი: Taskmaster: ალექსანდრე ნემსაძე Alexander Nemsadze	შრომის უსაფრთხოების მენეჯერი Labour Safety Manager	თარიღი: Date:	ხელმოწერა: Signature: 
დამტკიცებულია: Approved by: მიხეილ ბოცვაძე Mikheil Botsvadze	გენერალური დირექტორი General Director	თარიღი: Date:	ხელმოწერა: Signature: 

1. შესავალი დებულებები:

1.1. მიზანი

წინამდებარე ინსტრუქციის მიზანს წარმოადგენს სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს 10-6-0,4 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების საყრდენებზეკავშირგაბმულობის ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის, ასევე ვიდესამეთვალყურეო კამერების და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების მონტაჟის, დემონტაჟის, რემონტის და ექსპლუატაციის დროს უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა.

1.2. დოკუმენტებთან კავშირი

წინამდებარე ინსტრუქცია შესაბამისობაშია კომპანიის წესდებასთან, „ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის წესებთან“ (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის დადგენილება #340), ელექტროდანადგართა მოწყობის წესებთან.

1.3. მოქმედების სფეროს განსაზღვრა

წინამდებარე ინსტრუქცია სავალდებულოა ყველა იმ პირისთვის, ვინც მონაწილეობს წინამდებარე ინსტრუქციით გათვალისწინებულ პროცესებში. ინსტრუქციის მოთხოვნათა დაცვა წარმოადგენს სამუშაოთა წარმოების სავალდებულო პირობას.

2. ძირითადი ტერმინების განმარტება და აბრევიატურები

2.1. კომპანია – სს „ენერგო-პრო ჯორჯია“;

2.2. სამუშაოთა მწარმოებელი პირი (სმპ) - ფიზიკური ან იურიდიული პირი რომელიც უშუალოდ, საკუთარი პერსონალის ან დაქირავებული ქვეკონტრაქტორის საშუალებით კომპანიის ნებართვით მის ელექტრული ქსელების ხაზობრივ ნაგებობებზე ახორციელებს ვიდესამეთვალყურეო კამერების, კავშირგაბმულობის ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების მონტაჟს, დემონტაჟს, რემონტს და ექსპლუატაციას;

2.3. განწეს-დაშვება (განწესი) - დავალება სამუშაოს წარმოებაზე, რომელიც გაფორმებულია დადგენილი ფორმით სპეციალურ ბლანკზე და მასში განსაზღვრულია სამუშაოს შინაარსი, ადგილი, დაწყების და დამთავრების დრო, ჩატარების პირობები და სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულებაზე პასუხისმგებელ პირთა შემადგენლობა;

2.4. განწესის გაცემი - კომპანიის მომსახურების ცენტრის შესაბამისი უბნის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პირი უსაფრთხოების V ჯგუფით, რომელსაც მინიჭებული აქვს განწესის გაცემის უფლება;

2.5. დამშვები - კომპანიის მომსახურების ცენტრის შესაბამისი უბნის ოპერატიული ან ოპერატიულ სარემონტო პირი უსაფრთხოების IV ჯგუფით, რომელიც ახორციელებს პირველად დაშვებას და სამუშაო ადგილის მომზადებას.

2.6. სამუშაოს ხელმძღვანელი - სმპ-ს ადმინისტრაციულ-ტექნიკური პირი, რომელსაც გააჩნია უსაფრთხოების V ჯგუფი და ხელმძღვანელობს სამუშაოების მიმდინარეობას, ასევე ახორციელებს მწარმოებლისბრიგადების განმეორებით დაშვებას;

2.7. სამუშაოს მწარმოებელი - სმპ-ს ელექტროტექნიკური პირი რომელსაც გააჩნია უსაფრთხოების IV ჯგუფის და ხელმძღვანელობს სამუშაოების წარმოების უსაფრთხო მიმდინარეობას;

2.8. ბრიგადის ხელმძღვანელი - პასუხისმგებელი სმპ-ს ბრიგადის ყველა წევრის სამუშაოს ტექნოლოგიასთან დაკავშირებულ უსაფრთხოებაზე, უსაფრთხოების IV ჯგუფის მქონე ელექტროტექნიკური პირი;

2.9. მიზნობრივი ინსტრუქტაჟი - მითითებები კონკრეტული სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულებაზე, რომელშიც მონაწილეობს განწესით განსაზღვრული ყველა პირი, დაწყებული განწესის გამცემიდან ბრიგადის წევრებამდე;

2.10. ელექტრომეურნეობაზე პასუხისმგებელი პირი - კომპანიის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პირი რომელსაც ევალება ელექტროდანადგარებში სამუშაოების უსაფრთხოდ ჩატარების ორგანიზება მოქმედი წესებისა და ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად, განწესის გამცემი;

2.11. სეგხ - საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზები;

2.12. ობკ - ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი;

2.13. სკხ - საჰაერო კავშირგაბმულობის ხაზი;

2.14. ვსკ - ვიდეოსამეთვალყურეოკამერები;

2.15. მც - მომსახურების ცენტრი.

3. კომპანიის 10-6-0,4 კვ ძაბვის სეგხ საყრდენებზე ობკ, ვსკ და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების მონტაჟის, დემონტაჟის, რემონტის და ექსპლუატაციისას უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა.

3.1. საერთო მოთხოვნები

სმპ-ის პერსონალს კომპანიის 10-6-0,4 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების საყრდენებზე (ასევე მიწისქვეშა საკაბელო ელექტროგადამცემ ხაზებზე) ვსკ და ობკ მონტაჟის, დემონტაჟის, რემონტის და ექსპლუატაციის განხორციელების თანხმობა ეძლევათ კომპანიას და სმპ-ს შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების და წინამდებარე ინსტრუქციის შესაბამისად (რომელიც წარმოადგენს ზემოხსენებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).

3.1.1. სმპ-ს პერსონალს თან უნდა ჰქონდეს საკვალიფიკაციო მოწმობები რომლებიც შეესაბამება დადგენილ ფორმას და რომლებშიც იქნება ჩანაწერი ელექტროდანადგარებში მუშაობის წესების და ნორმების ცოდნის შემოწმების გავლისა და მინიჭებული ელექტროუსაფრთხოების ჯგუფის შესახებ.

3.1.2. სმპ-მ წერილობით უნდა მიმართოს კომპანიას შესასრულებელი სამუშაოების შესახებ და დაადასტუროს მათი მომუშავე პირებისთვის მინიჭებული უფლებები (სამუშაოთა ხელმძღვანელის, სამუშაოს მწარმოებლის, მეთვალყურის და ბრიგადის წევრების) და მათი ელექტროუსაფრთხოების ჯგუფები. სმპ პერსონალისათვის მინიჭებული ელექტროუსაფრთხოების ჯგუფების და უფლებების შესაბამისობაზე კვალიფიკაციასთან, აგრეთვე მათ მიერ მოქმედი წესებისა და ნორმების მოთხოვნათა დაცვაზე პასუხისმგებელია სმპ.

3.1.3. მც რომლის სეგხ-ებზეც მუშაობს სმპ პერსონალი, უზრუნველყოფს სამუშაოზე პირველად დაშვებას და უსაფრთხოების წესებით გათვალისწინებული იმ ღონისძიებების შესრულებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მომუშავეთა დაცვას ელექტროდანადგარების მუშა და ინდუცირებული ძაბვის ზემოქმედებისაგან.

3.1.4. სეგხ-ზე სამუშაო ადგილის მომზადება და მწარმოებლის პერსონალის დაშვება სამუშაო ადგილზე წარმოებს წინამდებარე ინსტრუქციის შესაბამისად და ხორციელდება კომპანიის მ/ც ოპერატიულ ან ოპერატიულ-სარემონტო პერსონალის მიერ, რომლის ელექტროდანადგარებშიც მიმდინარეობს მუშაობა.

3.1.5. მოქმედ სეგხ-ებზე სამუშაოთა შესასრულებლად სმპ პერსონალი სამუშაოებს ასრულებს კომპანიის მ/ც ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის მიერ გაცემული განწესით.

3.1.6. მ/ც-ების საექსპლუატაციო უბნების სავარაუდო ტერიტორიულ არეალი დგინდება სმპ-ს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, საექსპლუატაციო უბნების ნომრის, განწესის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების სახელის და გვარის, მათი საკონტაქტო ნომრების მითითებით.

3.1.7. ობკ-ის მონტაჟის გეგმიური სამუშაოების ჩატარების მოთხოვნა სმპ-ს მიერ კომპანიაში წარმოდგენილ უნდა იქნას:

- 5 სამუშაო დღით ადრე, როდესაც საჭიროა სეგხ-ის გამორთვა და დამიწება;

- 2 სამუშაო დღით ადრე, როდესაც სამუშაოები ტარდება ძაბვის ქვეშ მყოფი სეგხ-ის დაცვის ზონაში;
- 1 სამუშაო დღით ადრე, ობკ-ის ავარიული დაზიანების შემთხვევაში.
- შაბათ-კვირას ჩასატარებელ სამუშაოებზე - არაუგვიანეს ხუთშაბათის 15:00 სთ-მდე;

მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს ქალაქი/დაბა/სოფელი, ქუჩა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სადაც იგეგმება სამუშაოების ჩატარება;

3.1.11. სმკ უზრუნველყოფს შესავალი ინსტრუქტაჟისა და განწეს-დაშვების მისაღებად თავისი ობკ-ის სამონტაჟო ბრიგადების გამოცხადებას კომპანიის შესაბამის საექსპლუატაციო უბნებზე არაუგვიანეს დილის 10:30 სთ-ისა.

3.2. კომპანიის 10-6-0,4 კვ ძაბვის ხაზებზე ოკბ ხაზების დაკიდება

3.2.1. კომპანიის 10-6-0,4 კვ ძაბვის სეგხ-ის საყრდენებზე დასაშვებია მხოლოდ თვითმზიდი არამეტალური ობკ-ის მონტაჟი;

3.2.2. მანძილი თვითმზიდი არამეტალური ობკ-დან მიწის ზედაპირამდე დასახლებულ და დაუსახლებელ ადგილებში უნდა იყოს არანაკლებ 5 მ.

3.2.3. მანძილი თვითმზიდი არამეტალური ობკ-დან 1 კვ-მდე ძაბვის სხ-ის სადენებამდე საყრდენზე და მალში უნდა იყოს არანაკლებ 0,4 მ.

3.2.4. მანძილი თვითმზიდი არამეტალური ობკ-დან 10-6 კვ ძაბვის სადენებამდე საყრდენზე და მალში უნდა იყოს არანაკლებ 0,6 მ.

3.2.5. დასაშვებია თვითმზიდი არამეტალური ობკ განთავსდეს სეგხ-ს ფაზური სადენების ქვემოდან.

3.2.6. სეგხ-ის საყრდენებზე ობკ შემაერთებელი ქუროების განთავსება უნდა მოხდეს საყრდენის ძირიდან არანაკლებ 5 მ-ის სიმაღლეზე.

3.2.7. სეგხ-ის საყრდენებზე თვითმზიდი არამეტალური ობკ-ს დაკიდების შემთხვევაში საჭიროა შემოწმდეს საყრდენი და მისი გამაგრება გრუნტში, ხომ არა აქვს დასაშვებზე მეტი გადახრა.

3.2.8. თვითმზიდი არამეტალური ობკ-ს სეგხ-ზე მონტაჟის დროს დაუშვებელია ორმხრივ ჭიმვაზე გაანგარიშებული შუალედური საყრდენების მოხვედრა ცალმხრივი ჭიმვის ქვეშ. საყრდენის გადახრის ან წაქცევის თავიდან ასაცილებლად წინასწარ უნდა ჩატარდეს გამაგრების ღონისძიებები, საყრდენის დაანკერების მეშვეობით.

3.3. სმკ პერსონალის სამუშაოდ დაშვება მოქმედ ელექტროგადამცემი ხაზების დაცვის ზონაში. უსაფრთხოების მოთხოვნები მუშაობის დროს

3.3.1. კომპანიის საჰაერო ხაზების დაცვის ზონაში სამუშაოდ არ დაიშვას სმკ პერსონალი, თუ არ არის წარმოდგენილი საჭირო წერილობითი ინფორმაცია სამუშაოს შინაარსის, მოცულობის და შესრულების ვადების შესახებ, ასევე ამწე კალათების სახელმწიფო ნომრების, სამუშაოს უსაფრთხოდ ჩატარებაზე პასუხისმგებელ პირთა სია გვარების, ინიციალების, თანამდებობების და ელექტროუსაფრთხოების ჯგუფებისა და მოქმედების ვადების მითითებით.

3.3.2. კომპანიის მოქმედ სეგხ დაცვის ზონაში სმკ პერსონალისთვის სამუშაოს ჩატარებაზე ნებართვის გაცემის შემდეგ ენერგობიექტზე გამოცხადებისას:

- სმკ-ს პერსონალმა კომპანიის საექსპლუატაციო უბნებზე ადგილზე უნდა გაიაროს ელექტროუსაფრთხოების შესავალი ინსტრუქტაჟი, გაეცნოს იმ ელექტროდანადგარების ელექტრულ სქემებს და თავისებურებებს, რომლებშიც მოუწევს მუშაობა, ხოლო მომუშავეებს, რომელთაც ეკისრებათ სამუშაოს ხელმძღვანელის, სამუშაოს მწარმოებლის, მეთვალყურის მოვალეობები, ინსტრუქტაჟი უნდა გაიარონ ელექტროდანადგარების ელექტრომომარაგების სქემებშიც.

- ინსტრუქტაჟი ფორმდება კომპანიის ინსტრუქტაჟის რეგისტრაციის ჟურნალში გატარებით, სმკ-ს პერსონალის და კომპანიის ინსტრუქტაჟის ჩამტარებლის ხელის მოწერით.

- სმპ-ს პერსონალს ინსტრუქტაჟს უტარებს კომპანიის მც-ის უსაფრთხოების V ჯგუფის მქონე ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი (მთავარი ინჟინერი/უბნის მენეჯერი/უბნის ოსტატი).
 - ინსტრუქტაჟის შინაარსს განსაზღვრავს კომპანიის ინსტრუქტაჟის ჩამტარებელი პირი სამუშაოს ხასიათისა და სირთულის მიხედვით, სქემისა და ელექტროდანადგარების თავისებურებათა გათვალისწინებით და აფიქსირებს ინსტრუქტაჟის რეგისტრაციის ჟურნალში.
 - კომპანიის თითოეულ საექსპლუატაციო უბანზე მომუშავე სმპ-ს პერსონალს, შესავალი ინსტრუქტაჟი პერიოდული ინსტრუქტაჟების რეგისტრაციის ჟურნალში გაფორმებით უტარდება ერთხელ. კონკრეტულ საექსპლუატაციო უბანზე სმპ-ს პერსონალის ცვლილების შემთხვევაში ინსტრუქტაჟი უტარდება ყველა ახლად მიღებულ პერსონალს, როგორც ჯგუფურად ასევე ინდივიდუალურად.
- 3.3.3. აკრძალულია კომპანიის საჭაერო ელექტროგადამცემი ხაზების დაცვის ზონაში სმპ პერსონალის დაშვება შესავალი ინსტრუქტაჟის გავლის გარეშე.
- 3.3.4. მც-ის ელექტრომეურნეობაზე პასუხისმგებელმა პირმა (მთ. ინჟინერი/უბნის მენეჯერი/უბნის ოსტატი) მის ტერიტორიაზე სამუშაოს საწარმოებლად სმპ წარმომადგენლებს უნდა გაუფორმოს განწეს-დაშვება რომლითაც უნდა განისაზღვროს:
- ა) ადგილები ელექტრულ სქემაში, სადაც უნდა განხორციელდეს ხილული გათიშვები, რომლებიც გამოაცალკეებენ სმპ-ს სამუშაო ზონას;
 - ბ) დამცავი დამიწებების დაყენების ადგილები;
 - გ) საჭიროების შემთხვევაში სმპ-ს სამუშაო ადგილების საზღვრები და შემოღობვების ტიპები; შემოღობვებმა უნდა გამორიცხოს შემოფარგლული ზონის გარეთ სმპ მომუშავეს შეცდომით გასვლის შესაძლებლობა;
 - დ) სამუშაო ზონაში საშიში და მავნე ფაქტორების არსებობა – არარსებობას;
- 3.3.5. განწესის ველში „ევალებათ“ უნდა მიეთითოს იმ უბნის მისამართები (არსებობის შემთხვევაში), სადაც მოხდება მუშაობა და რა ტიპის სამუშაოები სრულდება (დაზიანების აღმოფხვრა, მაგისტრალი კაბელის გაყვანა, ახალი აბონენტის ჩართვა, ვიდეოსამეთვალყურეო კამერის მოწყობა და ა.შ.);
- 3.3.6. თუ ერთი ან რამოდენიმე მისამართი არ ხვდება მც-ის კონკრეტული უბნის სამუშაო სივრცეში, რომლებზეც იგეგმება სმპ-ს კონკრეტული პერსონალის მიერ სამუშაოების ჩატარება, განწესი გამოიწერება მხოლოდ ამ უბნის არეალში არსებული მისამართების მითითებით. მც-ის ახალ უბანზე სმპ-ს ამავე პერსონალისთვის განწესი გაიცემა მხოლოდ შესავალი ინსტრუქტაჟის ჩატარების, წინა გაცემული განწესის დახურვისა და განწესის გამცემისთვის დაბრუნების შემდეგ.
- 3.3.7. აკრძალულია შაბათ-კვირას და ოფიციალურ დასვენების დღეებში განწესის გაცემა სმპ პერსონალისთვის.
- 3.3.8. სმპ-ს პერსონალის დაშვების და განწესზე ხელის მოწერის უფლების მქონე მომუშავეები მითითებულნი უნდა იყვნენ განწეს-დაშვების ბლანკზე მათი გვარების, ინიციალებისა და საკვალიფიკაციო ჯგუფების მითითებით. აღნიშნული დოკუმენტის ერთი ეგზემპლარი უნდა გადაეცეს სმპ-ს სამუშაოთა ხელმძღვანელს ელექტროუსაფრთხოების V დაშვების ჯგუფით.
- 3.3.9. მც-ის საექსპლუატაციო უბანზე ელექტროგადამცემი ხაზების დაცვის ზონაში სამუშაოებზე პირველად დაშვებას სმპ პერსონალისთვის, ახორციელებს კომპანიის უსაფრთხოების IV დაშვების ჯგუფის მქონე ოპერატიული ან ოპერატიულ-სარემონტო პერსონალი (დამშვეები). დამშვეები სმპ-ს სამუშაოს ხელმძღვანელის ან პასუხისმგებელი შემსრულებლის დაშვებას ახორციელებს უსაფრთხოების ტექნიკის წესების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
- 3.3.10. მც-ის საექსპლუატაციო უბანზე ელექტროგადამცემი ხაზების დაცვის ზონაში სადაც არა ჰყავთ ოპერატიული პერსონალი, დაშვება შეუძლია განახორციელოს განწესის გამცემმა.
- 3.3.11. განწესის გამცემი უტარებს მიზნობრივ ინსტრუქტაჟს სმპ-ს სამუშაოს ხელმძღვანელს და სამუშაოს მწარმოებელს. დამშვეები უტარებს მიზნობრივ ინსტრუქტაჟს სმპ-ს სამუშაოს ხელმძღვანელს, სამუშაოს მწარმოებელს და ბრიგადის წევრებს. პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერებით ფიქსირდება განწესის მე-5 ცხრილში.

3.3.12. სამუშაოების ტექნოლოგიური ნაწილის შესრულებაზე უსაფრთხოების ღონისძიებებზე ბრიგადის წევრებს მიზნობრივ ინსტრუქტაჟს უტარებს სმპ-ს სამუშაოს ხელმძღვანელი/სამუშაოს მწარმოებელი. პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები ფიქსირდება განწესის მე-5 ცხრილში.

3.3.13. სმპ-ს პერსონალზე ერთ კონკრეტულ საექსპლუატაციო უბანზე მუშაობისას, შესაძლებელია გაიცეს ერთი განწესი.

3.3.14. სმპ-ს სამუშაოს ხელმძღვანელის მოთხოვნით განწესის გამცემი განწესის ველში „ცალკეული მითითებები“, მიუთითებს უსაფრთხოების IV ჯგუფის სსო-ს თითოეული ბრიგადის ხელმძღვანელის სახელსა და გვარს;

3.3.15. განწესის 2 ან რამოდენიმე დღით გაგრძელების შემთხვევაში სმპ სამუშაოს ხელმძღვანელი/სამუშაოს მწარმოებელი ახორციელებს სმპ პერსონალის განმეორებით დაშვებას, აფორმებს განწესის მე-3 ცხრილს.

3.3.16. სამუშაო ადგილზე განწესით სმპ-ს პერსონალის დაშვების შემდეგ დაგეგმილი სამუშაოებით გათვალისწინებული უსაფრთხოების ღონისძიებებზე სრულად პასუხისმგებელია სმპ პერსონალი.

3.4. სამუშაოზე დაშვება ძაბვის ქვეშ მყოფი სეგზ დაცვის ზონაში.

3.4.1. 0,4 კვ ძაბვის ქვეშ მყოფი ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში სმპ-ს პერსონალის სამუშაოზე დაშვებამდე, კომპანიის განწესის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი განწეს-დაშვების ბლანკის „ცალკეულ მითითებებში“ აფიქსირებს - „სამუშაო შესრულდეს სმპ-ს სამუშაოს ხელმძღვანელის მუდმივი მეთვალყურეობით. დასაშვები მანძილი 0,4 კვ-ის ძაბვის ქვეშ მყოფ დენგამტარ ნაწილებამდე არანაკლებ 1,5 მეტრი. ყოველი განმეორებითი დაშვება განხორციელდეს სამუშაოს ხელმძღვანელის მიერ.

3.4.2. სმპ-ს პერსონალის სამუშაოზე პირველად დაშვებას 0,4 კვ ძაბვის ქვეშ მყოფი ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში, აგრეთვე მოქმედი სეგზ-ის გადაკვეთის მალში, აწარმოებს კომპანიის წარმომადგენელი (დამშვები). ამ შემთხვევაში დამშვები ახორციელებს სმპ-ს სამუშაოს ხელმძღვანელის/სამუშაოს მწარმოებლის და ბრიგადის წევრების დაშვებას.

3.4.3. აკრძალულია კომპანიის ძაბვის ქვეშ მყოფი 10-6 კვ ძაბვის სეგზ-ების საყრდენებზე სმპ-ს პერსონალის სამუშაოდ დაშვება.

3.4.4. გამორთული ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში, დამშვებს უფლება აქვს დაუშვას მხოლოდ სმპ-ს სამუშაოს პასუხისმგებელი ხელმძღვანელი, რომელიც შემდეგ თვითონ განახორციელებს დანარჩენი მომუშავეების დაშვებას.

3.4.5. კომპანიის გამორთული სეგზ-ის ზონაში, სმპ-ს სამუშაო უბანზე, განწესით მუშაობისას, დამიწების დაყენება და მოხსნა უნდა განახორციელოს კომპანიის დამშვებმა, ამასთან, ბრიგადის წევრად შეიძლება სმპ-ს პერსონალიდან III ჯგუფის მქონე მომუშავეის ჩართვა.

3.4.6. საჰაერო ხაზის დაცვის ზონაში სმპ-ს მიერ სამუშაოების ჩატარება სხვადასხვა გამოსაწვენაწილებიანი ამწე მანქანების და მექანიზმების გამოყენებით, დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, რომ მანძილი ჰაერში ძაბვის ქვეშ მყოფ უახლოეს სადენებამდე მანქანიდან (მექანიზმიდან) ან მისი გამოსაწვევი ან ამწევი ნაწილებიდან, აგრეთვე მისი მუშა ორგანოდან ან ასაწვევი ტვირთის ყველა მდგომარეობიდან (მათ შორის, ყველაზე მაღლა აწევის ან გამოწვევის დროს) იქნება არაუმცირეს ცხრილში მითითებულისა.

დასაშვები მანძილები ძაბვის ქვეშ მყოფ დენგამტარ ნაწილებამდე

საჰაერო ხაზის ძაბვა, კვ	მანძილი, მ	
	მინიმალური	მინიმალური, გაზომილი ტექნიკური საშუალებებით
1-მდე	1,5	1,5
1-დან – 20-მდე	2,0	2,0

3.5. უსაფრთხოების მოთხოვნები სამუშაოს დამთავრების შემდეგ

- 3.5.1. სმპ პერსონალი სამუშაოების სრულად დამთავრების შემდეგ ვალდებულია წესრიგში მოიყვანოს სამუშაო ადგილი, მიაღწიოს და დააწიოს სამუშაო ხელსაწყოები და დაცვის საშუალებები.
- 3.5.2. სმპ-ს სამუშაოს ხელმძღვანელი სამუშაოების სრულად დამთავრების შემდეგ ხელმძღვანელობს სეგბ დაცვის ზონიდან ბრიგადის გამოყვანას. აფორმებს განწესის საკუთარ ეგზემპლარს, აფიქსირებს სამუშაოების მთლიან დამთავრებას განწესის შესაბამის გრაფაში ხელმოწერით.
- 3.5.3. სმპ-ს სამუშაოს ხელმძღვანელი დახურულ განწეს-დაშვების ბლანკს აბარებს განწესის გამცემს არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.
- 3.5.4. დახურული განწეს-დაშვების ბლანკს თან უნდა დაერთოს შესრულებული სამუშაოების აქტი. აქტში მითითებული უნდა იყოს ქალაქი/დაბა/სოფელი, ქუჩა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მც, საექსპლუატაციო უბნის ნომერი სადაც ჩატარდა სამუშაოები, განწეს-დაშვების ნომერი, ობკ-ის და ინდივიდუალური სააბონენტო ხაზების გრძივი მეტრებისა და მათ ობკ ქსელზე დაერთებული ახალი აბონენტების რაოდენობის მითითებით.